სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 213

2022 წლის 29 ნოემბერი

ქ. თბილისი

2022 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ შედეგად გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ დებულებისა და საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 ივლისის N129/ნ ბრძანების მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის, „2022 წლის სახელმწიფო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 8 სექტემბრის №170 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1515289, 29.12.2022) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2022 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ შედეგად გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. გამარჯვებული პროექტების წამყვანმა ორგანიზაციებმა არაუგვიანეს 2022 წლის 6 დეკემბრის 18:00 საათისა სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი) უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წამყვანი ორგანიზაციის პროექტისთვის გახსნილი მიზნობრივი ანგარიშის საბანკო/სახაზინო ანგარიში, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან ორგანიზაციას არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტის წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2022 წლის 30 დეკემბრისა.
4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №64).

ეკატერინე ბუთლიაშვილი

ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

<u>დანართი</u>

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2022 წლის 29 ნოემბრის №213 ბრძანებით

2022 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ გამარჯვებული პროექტები

N	პროექტის შიფრი	პროექტის სახელწოდება	წამყვანი ორგანიზაცია
1	HE-22-239	ევროპული ინტეგრაციის ისტორიულ-პოლიტიკური საფუძვლები, ქართველები ევროინტეგრაციის სათავეებთან (XX საუკუნის 30-60-იანი წლები).	რეგიონალიზმის კვლევის ინსტიტუტი
2	HE-22-647	ტრაპიზონის ქართული მონასტრები	ლაზეთის კვლევის ცენტრი
3	HE-22-766	თურქეთის არქივებში დაცული მასალები საქართველოსა და ქართველების შესახებ რეზიუმირებული კატალოგი (ოსმალური არქივის შვიდი ფონდი)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4	HE-22-2353	ვატიკანის Propaganda Fide-ს საისტორიო არქივში დაცული ქართული და საქართველოსთან დაკავშირებული წყაროების სამეცნიერო კვლევა	სსიპ-გორის სახელმწიფო უნივესიტეტი